საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/138

ქ. ბათუმი *04 სექტემბერი, 2019 წ.*

2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებისა და აფილირების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 ივლისის N01-02/114 ბრძანების, 2019 წლის აგვისტოში ჩატარებული აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების ანკეტების მონაცემების და ,,2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს N06-01/98 დადგენილების და ,,2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის ნაწილში დამატებით წარმოდგენილი საკონკურსო შედეგების (ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით პროფესორის თანამდებობაზე არჩევის თაობაზე) დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს N06-01/101 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებისა და ბსუ-სთან აფილირების განსაზღვრის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. დამტკიცდეს იმ პირის მიერ წარმოსადგენი აფილირების განაცხადის ფორმა (დანართი 1), რომელიც დასაქმდება მხოლოდ ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე და არ უკავია სხვა თანამდებობა ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში;

1.2. დამტკიცდეს იმ პირის მიერ წარმოსადგენი აფილირების განაცხადის ფორმა (დანართი 2), რომელიც დასაქმდება/დასაქმებულია მხოლოდ ბსუ-ში - აკადემიურ

თანამდებობაზე და ასევე, ბსუ-ს ადმინისტრაციულ, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობაზე;

1.3. დამტკიცდეს იმ პირის მიერ წარმოსადგენი აფილირების განაცხადის ფორმა **(დანართი 3),** რომელიც დასაქმებულია ან აპირებს დასაქმდეს სხვა დაწესებულებაში, **ითხოვს თანხმობას შეთავსებით სამუშაოზე** და აცხადებს, რომ ხელი არ შეეშლება სრულად შეასრულოს ბსუ-ში დასაკავებელი აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები (აღნიშნული განაცხადის ფორმა არ უნდა შეავსონ პირებმა, რომლებიც დასაქმებულია სახელმწიფო უწყებაში, სასამართლოში და ან ისეთ თანამდებობაზე, რომელიც ითვალისწინებს 5-დღიან სამუშაო კვირას - ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, 9 სთ-დან 18 სთ-მდე განრიგით).

1.4. დამტკიცდეს იმ პირის მიერ წარმოსადგენი აფილირების განაცხადის ფორმა **(დანართი 4),** რომელიც **დასაქმებულია ან აპირებს დასაქმდეს სხვა დაწესებულებაში** (სახელმწიფო უწყებაში, სასამართლოში და ან ისეთ თანამდებობაზე, რომელიც ითვალისწინებს 5-დღიან სამუშაო კვირას - ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, 9 სთ-დან 18 სთ-მდე განრიგით), ითხოვს თანხმობას შეთავსებით სამუშაოზე, განაცხადებს, რომ სრულად ვერ შეასრულებს ბსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს და ითხოვს ნაწილობრივ სამუშაო დატვირთვას.

1.5. **გამარჯვებული კონკურსანტების მიერ 2019 წლის 5 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით წარმოდგენილი იქნეს** წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების შესაბამისად შევსებული და ხელმოწერილი აფილირების განცხადებები ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით, ხოლო თითოეული გამოცხადდეს 2019 წლის 11 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად **(გამარჯვებულმა კონკურსანტმა,** რომლებსაც **უკავიათ ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა,** შრომითი ხელშეკრულების ვადა არ იწურება 2019 წლის 16 სექტემბრიდან და სურს ამავე თარიღიდან გაუფორმდეს **ახალი შრომითი ხელშეკრულება,** 2019 წლის 5 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინოს ასევე განცხადება მოქმედი შრომითი ხელშეკრულების 2019 წლის 17 სექტემბრიდან შეწყვეტის თაობაზე);

1.6. აფილირების განცხადებასთან ერთად, წინამდებარე ბრძანების 1.3. და 1.4. პუნქტებში აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილი იქნეს ცნობა დასაქმების ადგილიდან (დანიშვნის/არჩევის აქტი და ასევე სამუშაო/აკადემიური დატვირთვის შესახებ - სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულმა აკადემიური თანამდებობის/მიწვეულმა პირმა);

1.7. გამარჯვებული კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ აფილირების განაცხადებზე რექტორის დადებითი გადაწყვეტილების მიღებისა და ხელმოწერის შემთხვევაში, გაფორმდეს მათთან შრომითი ხელშეკრულება, აფილირების განცხადება ჩაითვალოს ამ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილად და გამოიცეს ბრძანება ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ.

1.8. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი აფილირების შეთანხმებები და ცნობები სამუშაო ადგილიდან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ განთავსდეს აკადემიური პერსონალის პირად საქმეებში;

1.9. იმ აკადემიური თანამდებობის პირის პირად საქმეში, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ასევე სხვა დაწესებულებაში, აფილირების შეთანხმებასთან ერთად განთავსდეს მისი საერთო (ბსუ-ში და სხვა დაწესებულებებში) აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის სქემა (აღნიშნული დოკუმენტი მომზადდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტისა და შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის მიერ ერთობლივად, დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და შეთანხმდეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და დეკანთან);

2. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში განხორციელდეს ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებები.

3. წინამდებარე ბრძანებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე შეტყობინება (მომზადდეს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ) სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბსუ-ს პერსონალს.

4. ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს წინამდებარე ბრძანება და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე შეტყობინება (მომზადდეს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ).

5. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (სასწავლო პროცესის მიმართულებით).

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბსუ-ს აკადემიურ პერსონალს, ფაკულტეტების ადმინისტრაციას, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, დეპარტამენტს შიდა აუდიტის სამსახურს, კულტურისა და სპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 04 სექტემბრის N 01-02/138 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-სთან აფილირების შესახებ განაცხადი

----------, 2019 წ.

1. განმცხადებლის :

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
2019 წლის აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად 2019 წლის 16 სექტემბრიდან დასაკავებელი ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა	

2. აფილირების შესახებ განაცხადი:

გავეცანი და ვეთანხმები წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესს" (შემდეგში ,,აფილირების წესი"), ბსუ-ს ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწესს.
ვაცხადებ, რომ დასაქმებული ვარ მხოლოდ ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე (არ ვმუშაობ შეთავსებით სხვა დაწესებულებაში) და გთხოვთ, როგორც ბსუ-სთან აფილირებულ პირს, განმისაზღვრეთ ,,ა" კატეგორიის აკადემიური დატვირთვა.

3. *პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა:*

თანხმობას ვაცხადებ ბსუ-სთან შრომით-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში ბსუ-ს მიერ დამუშავებული იქნეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია, აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში ----------

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 04 სექტემბრის N 01-02/138 ბრძანების
დანართი 2

ბსუ-სთან აფილირების შესახებ განაცხადი

----------, 2019 წ.

1. **განმცხადებელი:**

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
2019 წლის აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად 2019 წლის 16 სექტემბრიდან დასაკავებელი **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა**	

2. **აფილირების შესახებ განაცხადი:**

გავეცანი და ვეთანხმები წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესს" (შემდეგში ,,აფილირების წესი"), ბსუ-ს ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწესს.

ვაცხადებ, რომ ბსუ-ში, გარდა ბსუ-ს აკადემიური თანამდებობისა მიკავია ---------- ---------- თანამდებობა, რის გამოც

(სრულყოფილად მიუთითეთ ბსუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა)

გთხოვთ, როგორც ბსუ-სთან აფილირებულ პირს, განმისაზღვრეთ **,,ბ" კატეგორიის** აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა.

3. ***პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა:***

თანხმობას ვაცხადებ ბსუ-სთან შრომით-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში ბსუ-ს მიერ დამუშავებული იქნეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია, აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში ----------

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 04 სექტემბრის N 01-02/138 ბრძანების
დანართი 3

ბსუ-სთან აფილირების შესახებ განაცხადი

----------, 2019 წ.

1. **განმცხადებელი:**

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
2019 წლის აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად 2019 წლის 16 სექტემბრიდან დასაკავებელი **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა**	

2. **აფილირების/შეთავსებით სამუშაოს შესახებ თანხმობის მიღების განაცხადი:**

გავეცანი და ვეთანხმები წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესს" (შემდეგში ,,აფილირების წესი"), ბსუ-ს ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწესს.

ვაცხადებ, რომ ვმუშაობ/**ვაპირებ დავსაქმდე** (მიუთითეთ შესაბამისი გარემოების მიხედვით) სხვა დაწესებულებაში, სადაც ჩემი სამუშაო დატვირთვა და განრიგი ხელს არ შემიშლის სრულად შევასრულო ბსუ-ში დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა და ბსუ-სთან აფილირებული პირისათვის განსაზღვრული მოთხოვნები. ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობას მივიჩნევ ჩემ ძირითად სამუშაოდ. აქედან გამომდინარე გთხოვთ, თქვენს თანხმობას შეთავსებით სამუშაოზე, განმიხილეთ ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირად და განმისაზღვრეთ ,,ა" **კატეგორიის აკადემიური დატვირთვა** (შეავსეთ ქვემოთ მოცემული გრაფები).

1. დაწესებულების დასახელება	*2. დაკავებული თანამდებობა (შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერა)*	*3. სამუშაო დღეები და საათები*	*4. სასწავლო კურსი, კრედიტი, სთ-ების მოცულობა, სამუშაოს სახე (ლექცია,*

			ჯგ.მუშაობა, ლაბორატ. სამუშაო)
			შენიშვნა: მე-4 გრაფა ივსება იმ პირების მიერ, ვინც ეწევა აკადემიურ საქმიანობას სხვა დაწესებულებაში

3. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა:
თანხმობას ვაცხადებ ბსუ-სთან შრომით-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში ბსუ-ს მიერ დამუშავებული იქნეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია, აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი, მერაბ ხალვაში ----------

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 04 --- სექტემბრის N 01-02/138 ბრძანების
დანართი 4

ბსუ-სთან აფილირების შესახებ განაცხადი

----------, 2019 წ.

1. განმცხადებელი:

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
2019 წლის აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად 2019 წლის 16 სექტემბრიდან დასაკავებელი **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა**	

2.. **აფილირების/შეთავსებით სამუშაოს შესახებ თანხმობის მიღების განაცხადი:**

გავეცანი და ვეთანხმები წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესს" (შემდეგში ,,აფილირების წესი"), ბსუ-ს ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწესს.

ვაცხადებ, რომ ვმუშაობ/**ვაპირებ დავსაქმდე** (მიუთითეთ შესაბამისი გარემოების მიხედვით) სხვა დაწესებულებაში, სადაც ჩემი სამუშაო დატვირთვა და განრიგი არ მომცემს საშუალებას სრულად შევასრულო ბსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრული სამუშაო დატვირთვა. აქედან გამომდინარე გთხოვთ, თქვენს თანხმობას შეთავსებით სამუშაოზე და როგორც ბსუ-სთან **არააფილირებულ** აკადემიურ თანამდებობის პირს, განმისაზღვრეთ **,,გ" კატეგორიის** აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა.

დაწესებულების დასახელება	*დაკავებული თანამდებობა (შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერა)*	*სამუშაო დღეები და საათები*	*სასწავლო კურსი, კრედიტებისა და სთ-ების მოცულობა ერთი სასწავლ. წლისათვის, სამუშაოს სახე (ლექცია, ჯგ.მუშაობა, ლაბორატ. სამუშაო)*
			შენიშვნა: აღნიშნული გრაფა ივსება იმ პირების

			მიერ, ვინც ეწევა აკადემიურ საქმიანობას სხვა დაწესებულებაში

3. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ განმცხადებლის თანხმობა:

თანხმობას ვაცხადებ ბსუ-სთან შრომით-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში ბსუ-ს მიერ დამუშავებული იქნეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია, აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი, მერაბ ხალვაში ----------